



AGIC

თხილისა და კაკლის წარმოების ინდუსტრიის კვლევა

*მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე
დაყრდნობით*





შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 10 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 11 - ფინანსური კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება თხილისა და კაკლის წარმოების ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის მეორე და მესამე ზომით კატეგორიებს, აქედან აუდირებულია მხოლოდ 2 კომპანია.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 13-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია თხილისა და კაკლის ბაზრის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე, მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ვებგვერდიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს თხილისა და კაკლის მწარმოებელ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 98 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი კი 180 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს თხილისა და კაკლის წარმოების ინდუსტრიაში გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 5%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 21%.





გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.





კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები კატეგორიების მიხედვით. მოცემული 13 კომპანიიდან ორი კომპანია ერთიანდება მეორე კატეგორიაში, ხოლო ნაღარჩენი 11 კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიას.





თხილისა და კაკლის წარმოების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში კაკლის წარმოების ინდუსტრია სტაბილურად მზარდია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, 2019 წელს კაკლის წარმოებამ 6.6 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 16%-ით მეტია. განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება თხილის წარმოების ინდუსტრიაში, ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ცვალებადია სტატისტიკა, მიუხედავად ამისა, კაკალთან შედარებით გაცილებით მეტი ინარმოება, 2019 წელს თხილის წარმოებამ 24 ათასი ტონა შეადგინა. მიუხედავად ამისა, ქვეყანას აქვს შესაძლებლობა გაცილებით მეტის წარმოების, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.


ანგარიშგების პორტალის ვებგვერდის მონაცემების თანახმად 2018 წელს, თხილისა და კაკლის მწარმოებელმა და მოვაჭრე კომპანიებმა შეადგინა 12.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2018 წელს, თხილის წარმოებამ საქართველოში 17 ათასი ტონა, ხოლო კაკლის წარმოებამ 5.7 ათასი ტონა შეადგინა.

ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია, თხილისა და კაკლის წარმოების რაოდენობა, წლების მიხედვით.

ათასი ტონა

თხილისა და კაკლის წარმოება საქართველოში



როგორც გრაფიდან ჩანს, კაკალთან შედარებით გაცილებით მეტი რაოდენობის ინარმოება თხილი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, თხილის წარმოების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2015 წელს, 35,3 ათასი ტონა, ხოლო კაკლის წარმოების შემთხვევაში 2018 წელს, 5,7 ათასი ტონა.




თხილისა და კაკლის წარმოების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით, საქსტატის მონაცემების თანახმად ყველაზე დიდი რაოდენობით თხილი იწარმოება სამეგრელო-ზემო სვანეთში, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2016 წელს 15.3 ათასი ტონა.

ათასი ტონა

თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით




წყარო:geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ტოპ რეგიონებში სამეგრელო-ზემო სვანეთთან ერთად მოიაზრება გურია, იმერეთი და კახეთი.

ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია კაკლის წარმოება რეგიონებისა და წლების მიხედვით.

ათასი ტონა

კაკლის წარმოება რეგიონების მიხედვით



წყარო:geostat.ge

დიაგრამიდან ჩანს რომ, ბოლო წლების მონაცემებით კაკლის წარმოებით ლიდერობს აჭარა, 2019 წელს იწარმოა 2 ათასი ტონა, შემდეგ მოდის კახეთი და სამცხე-ჯავახეთი 0.8 ათასი ტონა. ყველაზე ცოტა კაკალი იწარმოა ქვემო ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და მცხეთა-მთიანეთში 0.3 ათასი ტონა.




თხილისა და კაკლის წარმოების ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2018 წელს საქართველოში თხილის ფასმა კილოგრამზე 4.31ლარი შეადგინა, ხოლო კაკლის შემთხვევაში 4.01 ლარი დაფიქსირდა. ქვემოთ მოცემულია თხილის ფასი რეგიონების მიხედვით, ბოლო ოთხი წლის სტატისტიკა.

კგ, ლარი

თხილის ფასი რეგიონების მიხედვით




წყარო: geostat.ge

გრაფიდან ჩანს, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, თხილის ფასის მაქსიმალური ღირებულება დაფიქსირდა კახეთში საშუალოდ 5.6ლარი კგ-ზე. 2018 წელს თხილის მაქსიმალური ღირებულება დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში და შეადგინა 5ლარი, ხოლო მინიმალური გურიაში 2.01 ლარი.

ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია, კაკლის ფასი საქართველოში ბოლო ოთხი წლის სტატისტიკა.

კგ, ლარი

კაკლის ფასი საქართველოში



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კაკლის მაქსიმალური ღირებულება დაფიქსირდა 2016 წელს და 4.43ლარს მიაღწია, ხოლო 2018 წელს კაკლის ფასმა 4.01 ლარი შეადგინა.




კაკლისა და თხილის ექსპორტ-იმპორტი

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს იმპორტირებული ნაჭუჭგაცლილი თხილის საერთო ღირებულება ოდნავ შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც მიუთითებს მოთხოვნის შემცირებაზე, ან ადგილობრივი წარმოების ზრდაზე. 2018 წელს იმპორტირებული ნაჭუჭგაცლილი თხილის საერთო ღირებულებამ 3,773 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს 3,660 ათას აშშ დოლარამდე შემცირდა.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი ნაჭუჭგაცლილი თხილის იმპორტი, შემდეგია: აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, იტალია და ბელორუსია.


ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო: International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა აზერბაიჯანი, საიდანაც შემოდის თხილის ძირითადი ნაწილი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, იმპორტის ღირებულებამ შეადგინა 2,006 ათასი აშშ დოლარი, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აშშ-მ და ბელორუსიამ მხოლოდ 2019 წელს განახორციელეს თხილის იმპორტი 373 და 132 ათასი აშშ ღირებულების.

რაც შეეხება ნაჭუჭგაცლილი კაკლის იმპორტის ღირებულებას, შემდეგია:



წყარო: International Trade Center

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნაჭუჭგაცლილი კაკლის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა უკრაინა.




კაკლისა და თხილის ექსპორტ-იმპორტი

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს ექსპორტირებული ნაჭუჭგაცლილი თხილის საერთო ღირებულება გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 56,435 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს 46,190 ათას აშშ დოლარს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია თხილის ექსპორტი.

ტოპ ხუთი ქვეყანა, სადაც ხორციელდება ძირითადი თხილის ექსპორტი, შემდეგია: იტალია, გერმანია, რუსეთის ფედერაცია, ჩეხეთის რესპუბლიკა და ლიტვა.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ექსპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

ათასი, დოლარი




წყარო: International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თხილის ძირითადი ნაწილი გავიდა იტალიასა და გერმანიაში 2019 წლის მონაცემების თანახმად 11,833 და 11,365 ათასი აშშ დოლარის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თხილის ექსპორტი ბევრად აღემატება იმპორტს.

რაც შეეხება ნაჭუჭგაცლილი კაკლის ექსპორტის ღირებულებას, შემდეგია:

ათასი, დოლარი



წყარო: International Trade Center

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019 წელს განხორციელდა კაკლის ექსპორტის ძირითადი ნაწილი ყაზახეთში, ამ შემთხვევაში კაკლის იმპორტი აღემატება ექსპორტს.




თხილისა და კაკლის ექსპორტ-იმპორტი

მიუხედავად იმისა, რომ თხილის იმპორტიორ ქვეყნებში აზერბაიჯანი ლიდერობს, საინტერესოა როგორ იცვლებოდა ტოპ ქვეყნები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ტოპ ხუთი იმპორტიორი ქვეყანა წლების მიხედვით:

ათასი, დოლარი

იმპორტიორი ქვეყნები 2016 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი

იმპორტიორი ქვეყნები 2017 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი

იმპორტიორი ქვეყნები 2018 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი

იმპორტიორი ქვეყნები 2019 წელს



წყარო: International Trade Center


როგორც გრაფიდან ჩანს, საკმაოდ ცვალებადია თხილის იმპორტიორი ტოპ ქვეყნები და მათ მიერ იმპორტირებული საქონლის ღირებულება, ბოლო წლის მონაცემებთან შედარებით.



ტოპ 3 კაკლისა და თხილის კომპანია შემოსავლების მიხედვით (2018წ)


აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს დანარჩენი კაკლისა და თხილის მწარმოებელი კომპანიების ჯამური შემოსავლის 54%-ს.

ათასი, ლარი




მთლიანი აქტივების მიხედვით, ტოპ 3 კომპანია კაკლისა და თხილის ინდუსტრიაში (2018წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 3 კომპანია კაკლისა და თხილის მწარმოების ინდუსტრიაში (2018წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები


კვლევის შედეგად დადგინდა თხილისა და კაკლის მწარმოებელი კომპანიების ინდუსტრიის ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 1.86 და 1,07 როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

კაკლისა და თხილის მწარმოებელი კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 6%, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 5%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 21%-ს,

ყურადღებას იმსახურებს მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი, რაც საკმაოდ დაბალია და შეადგენს მხოლოდ 6%-ს, ეს ინდიკატორი წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას. თუმცა აღსანიშნავია ასევე საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში რის გამოც, წმინდა მოგების მარჟა შეადგენს 4%, თხილის წარმოება






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას კაკლისა და თხილის მწარმოებელთათვის. ეს მაჩვენებელი უტოლდება 1,33-ს, რაც მიუთითებს ვალდებულებების სიდიდეზე რაც უფრო დაბალია აღნიშნული კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია გადახდის უნარიანობის რისკები.

ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,03-ს. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი მით უფრო მაღალია კომპანიის რისკი.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები კაკლისა და თხილის მწარმოებელი კომპანიებისთვის




● ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი
● ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი

ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 11,75-ს, რაც არ არის ძაან მაღალი მაჩვენებელი. ზოგადად, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს ნაწარმი სანწყობში.

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი ინდუსტრიაში უტოლდება 2,6-ს. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.

ეფექტურობის კოეფიციენტები





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

